პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!
Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ახალი შრომა
Ахали Шираки

საქართველოს კომუნისტური პარტიის წითელწყაროს რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.

Орган Цителцкаройского райкома Коммунистической партии Грузии и райсовета депутатов трудящихся.

ოთხშაბათი
СРЕДА
7
მარტი
МАРТА
1956 წ. г.
№ 29 (1.595)
ფასი ЦЕНА 15 კაპ. коп.
გამოცემის მე-19 წელი
Год издания—19-й

ხვალ, 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეა!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ქალებს!

ЗАВТРА—МЕЖДУНАРОДНЫЙ ЖЕНСКИЙ ДЕНЬ!

ДА ЗДРАВСТВУЮТ СОВЕТСКИЕ ЖЕНЩИНЫ—СТРОИТЕЛИ КОММУНИЗМА!

8 მარტი

გაზაფხულის პირველი დღესასწაული, რომელსაც ზეიმით აღნიშნავენ ჩვენს ქვეყანაში, 8 მარტია—ქალთა საერთაშორისო დღე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უსაზღვროდ მადლიერი საბჭოთა ქალები ძალღონეს არ იშურებენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, სოციალისტური კულტურის აყვავებაში.

სად, რომელ უბანზე არ შეხვდებით კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ქალს. ქარხნებში, ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე ისინი თავდადებით მუშაობენ და წარმატებით აშენებენ თავისი ქვეყნის ბედნიერ მომავალს. ყამირ მიწებზე მეორე ლაშქრობა ეს იყო ჩვენი მამაცი ქალიშვილების მძლავრი შეტევა ნასვენი მიწების ასათვისებლად.

ჩვენი რაიონის მშრომელთა შორის საპატიო ადგილი უჭირავთ ქალებს. ვინ არ იცნობს სოციალისტურ შრომის გმირს, ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მატრონე ალავერდაშვილს, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავს ამფა შამბათოვას, რომელმაც თავდადებული შრომით „საპატიო მწველავის“ წოდება დაიმსახურა, ემა დავთიანს—მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თაესჯდომარეს, რომელიც წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას.

ათასობით კოლმეურნე ქალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საკოლმეურნეო მშენებლობაში. რაიონის კოლმეურნეობებში მემინდვრეობის რგოლების ხელმძღვანელებად თითქმის მთლიანად ქალები მუშაობენ.

ჩვენი რაიონის ექიმთა კადრების დიდი ნაწილი ქალები არიან, რომლებიც აქტიურად დგანან ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. ბევრი ქალი ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვან ამოცანას.

ქალები წარმატებით მუშაობენ ხელისუფლების ორგანოებში, ათობით ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ათასობით—ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი.

კომუნიზმის აქტიური მშენებელია შვილების აღმზრდელი დედა. ისინი სამშობლოსადმი, პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით ზრდიან თავიანთ შვილებს. საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში — მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, გათვალისწინებულია კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ქალთა პირობები, გადიდდეს სადეკრეტო შვებულება.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით გარემოსილი საბჭოთა ქალი კვლავაც დარჩება ჩვენი საზოგადოების მოწინავეთა რიგებში, კომუნიზმის მშენებელ ღირსეულ ადამიანად.

გაუმარჯოს 8 მარტს—ქალთა საერთაშორისო დღეს!

Женщина в Советской стране—великая сила. Нет такой области общественной жизни, в которой женщина не играла бы активной роли, давая замечательные образцы патриотического служения Родине.

На снимке: группа знатных женщин Москвы. Сидят (слева направо)—лауреат Сталинской премии композитор Т. П. Николаева, инженер-технолог Гражданского воздушного флота Г. П. Соловьева, депутат Верховного Совета РСФСР директор 365-й средней школы В. И. Шипова, народная артистка СССР Е. Н. Гоголева, лучший машинист московского метрополитена имени В. И. Ленина Е. М. Хоролец. член Советского комитета защиты мира мать-героиня А. Г. Балашова; стоят (слева направо)—делегат XX съезда КПСС мастер фабрики „Парижская коммуна“ Л. С. Савельева, знатный токарь предприятия Гражданского воздушного флота В. И. Голанская, борт-радист Гражданского воздушного флота, налетавшая 2 миллиона километров, Е. А. Холина, делегат XX съезда КПСС помощник мастера комбината „Трехгорная мануфактура“ М. Т. Титова.

Фотохроника ТАСС

Фото В. Мастюкова и Б. Трепетова.

ნოვოსიბირსკის მეათასე კომბაინი

ნოვოსიბირსკის საწარმოები აძლიერებენ დახმარებას სოფლის მეურნეობისადმი. მეექვსე ხუთწლედის დამდეგიდან ნოვოსიბირსკის ფაბრიკა-ქარხნებმა კოოპერაციის მეთოდით დაიწყეს „სტალინეც—6“ მარკის მარცვლეულის კომბაინების გამოშვება. ამ მანქანების დეტალები და კვანძები კეთდება ასობით საწარმოში. ტურბინგენერატორის ქარხანამ დაამონტაჟა და აამუშავა მთავარი საამწყობო კონვეიერი. ამასწინათ კონვეიერიდან ჩამოვიდა მეათასე მანქანა.

ნოვოსიბირსკის მუშებმა და ინჟინრებმა გადაწყვიტეს 18.000 კომბაინი მისცენ წელს ჩვენს ქვეყანას. (საკდესი).

1956 წლის 10 მარტს დღის 10 საათზე „საქნავთის“ კლუბში იხსნება სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდების რაიონული თათბირი.

დღის წესრიგი:

ახალგაზრდობის მონაწილეობა გასული წლის სოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და მიმდინარე წლის ამოცანები. (მომხსენებელი საქართველოს ალკკ წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. შ. ცხვარაძე).

ზრუნვა დედისა და ბავშვისათვის

საქართველოში შექმნილია რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს სისტემის სამშობიარო სახლების განშტოებული ქსელი, რომელსაც აქვს დაახლოებით 3.000 საწოლი.

გაიხსნა აგრეთვე ახალი 100-ზე მეტი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი, დაახლოებით 870 საფერშლო-სამეანო პუნქტი, და ქალთა კონსულტაცია.

დედები და ბავშვები გარემოსილი არიან დიდი ზრუნვით. მარტო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აქვს 359 საბავშვო ბაგა. ახალი საბავშვო ბაგები გაიხსნა ამასწინათ რუსთავსა და ფოთში. მინდვრის მუშაობის დროს ეწყობა სეზონური ბაგები კოლმეურნეობებში. მარტო შარშან ამ ბაგებმა მომსახურება გაუწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელთა 30.000 ბავშვს.

რესპუბლიკაში მუშაობს დედისა და ბავშვის სამი სახლი და 13 საბავშვო სახლი. ბაკურიანში, სურამში, წაღვერში, ქობულეთში, ლესელიძეში და სხვა კურორტებზე გაიხსნა 22 სანატორიუმი ბავშვებისათვის. ასობით დედა ყოველწლიურად იმაგრებს ჯანმრთელობას ბორჯომის სანატორიუმ „ფირუზაში“.

წლითიწლობით დიდდება ასიგნობანი დედისა და ბავშვის დაცვისათვის. წელს მარტო ქალაქისა და სოფლის საბავშვო ბაგებისა და სახლების შესანახად დაიხარჯება 41.205 ათასი მანეთი. (საქდესი).

ახალი საფოსტო განყოფილება

მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, კავშირგაბმულობის წითელწყაროს რაიკანტორამ სოფელ ზემო მაჩხაანში გახსნა ახალი საფოსტო განყოფილება. იგი მომსახურებას გაუწევს აგრეთვე სოფელ მირზაანის მცხოვრებლებს.

მიღებულია 1.446 ბაზკანი

ჩვენი კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში წელს 2.562 დედაცხვარი ჩადგა დოლში. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი მკვეთრად შეიცვალა და დოლისათვის მძიმე დღეები დადგა, ჩვენი მეცხვარეები მაინც წარმატებით ატარებენ ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიას.

უკვე დადოლებული 1.446 დედაცხვრიდან მიღებულია და ნორმალურად იზრდება ამდენივე ბატკანი.

მცნობი, მეცხვარე შაქრო კვიწინაშვილი ენერგიულად შრომობს. ის ყოველთვის სწრაფად პოულობს ქორფა ბატკნის დედას და აწოვებინებს მას.

იმის გამო, რომ სადოლებელი ცხვრის ბრიგადები თავის დროზე იქნა მომარაგებული უხეში და კონცენტრირებული საკვებით პირუტყვი მაძღარი და ჯანმრთელია.

ახლა ჩვენი მეცხვარეების დღეღამური შრომა მიმართულია იქითკენ, რომ წარმატებით დაამთავრონ დოლი, გამოზარდონ ჯანმრთელი ნამატი და მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაზარდონ ცხვრის სულადობა. **ი. გარსევანიშვილი,**
ოზაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე.

რაიონის მშრომელები ღლითიღლე აძლიერებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას!

სიმინდის მაღალ მოსავალს მოვიყვანთ

15 წელია მემინდვრეობის ბრიგადის მერგოლურად ვმუშაობ დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში და ყოველწლიურად სათოხნი კულტურების მაღალი მოსავალი მოგვყავს.

რგოლზე, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გასულ წელს 61 ჰექტარი მზესუმზირისა და 60 ჰექტარი სიმინდის ნათესი იყო გაპიროვნებული. ეს კულტურები ძირითადად დათესილი იყო კვადრატულ-ბუდობრივად. ნათესები დავამუშავეთ მჭიდრო აგროტექნიკურ ვადებში და თვითეული ჰექტარიდან 14 ცენტნერი მზესუმზირა და 29 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანეთ, რისთვისაც მარტო მე, ჯილდოწანამატის სახით 600 კილოგრამი სიმინდი და მზესუმზირა მომეცა.

გულდასმით ვეცნობით რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საკითხებს.

იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ვადამდე დიდი გადაჭარბებით შესრულდეს მშობლიური პარტიის დავალებანი და ჩვენც შევიტანოთ ჩვენი წვლილი ამ დიდ სახალხო საქმეში, გადავწყვიტეთ წელს თვითეულ ჰექტარზე უზრუნველვყოთ 15 ცენტნერი მზესუმზირისა და 30 ცენტნერი სიმინდის მოსავლის მოყვანა, რისთვისაც უკვე მზად გვაქვს ნიადაგი და თესლები.

გამოამინდებისთანავე შევუდგებით კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვას.

ძ. ალულიშვილი,
მერგოლური.

სიტყვა რომ საქმედ აქციონ...

— მთლიანად შევინარჩუნებთ მიღებულ ნამატს, სამშობლოს მივცემთ ცხვრის ჯანსაღ თაობას! — ასეთი იყო ელდრელ მეცხვარეთა ვალდებულება, რომელიც მათ პარტიის XX ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით აიღეს.

ახლა, როცა ისინი აღფრთოვანებით ეცნობიან პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, წარმატებით ასრულებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი მიცემულ პირობას. მეურნეობაში არსებული 13 500 დედაცხვრიდან უკვე დადოლებულია 12.300 სული დედაცხვარი.

დოლის ორგანიზებულად ჩატარების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა მეცხვარეობის № 2 ფერმამ (ფერმის გამგე ივ. ჩარაშვილი), რომელმაც 100 პროცენტით შეასრულა ნამატის მიღების სახელმწიფო გეგმა.

ნამატის მიღების გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს აგრეთვე № 3 ფერმის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც იბრაგიმ იბრაგიმოღლი, ისა სოინოღლი და მახმად მამედოღლი ხელმძღვანელობენ.

დოლი კვლავ წარმატებით გრძელდება.

ვ. კოდუა,
პარტბიუროს მდივანი.

ზემოქედელი მევენახეები პირობას ანალდებენ

სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადებმა პარტიის XX ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით ვალდებულება აიღეს მიმდინარე წელს 20 ჰექტარზე გააშენონ ახალი ვენახი და მსხმოიარე ფართობიდან საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 50 ცენტნერამდე აიყვანონ.

ზემოქედელი მევენახეები თავდადებით მუშაობენ აღებული ვალდებულების განაღდებისათვის. ყრილობის მუშაობის დღეებში მათ უკვე დაამთავრეს სავენახე ფართობის პლანტაჟი. ამ დღეებში მევენახეობის ბრიგადებმა წარმატებით ჩაატარეს ვენახების რიგთაშორის ხვნა და ვაზის სხვლას შეუდგნენ.

საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს მევენახეობის № 1 ბრიგადის წევრებმა ვ. პეტროვმა, გ. მაზიაშვილმა და ქ. კეკიშვილმა, რომლებმაც მათზე გაპიროვნებულ ნაკვეთებზე დაამთავრეს ვაზის სხვლა და რიგთაშორის ხვნა.

გულდასმით ეცნობიან რა პარტიის XX ყრილობის შედეგებს, ზემოქედელი მევენახეები ყველა ზომას იღებენ იმისათვის, რომ წელს ყურძნის მაღალი მოსავალი მოიყვანონ.

გ. ბეგაშვილი,
მევენახე აგრონომი.

პედაგოგისა ხმა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ თავის ისტორიულ გადაწყვეტილებებში დიდი ყურადღება დაუთმო სახალხო განათლების შემდგომ გაფართოებას, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის და პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებას.

ეს, ჩვენ, საბჭოთა პედაგოგებს გვავალებს კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ, ავამაღლოთ სწავლა-აღზრდის ხარისხი, რათა სამშობლოს აღვუზარდოთ შრომისმოყვარე, მამაცი და ყოველმხრივ განვითარებული ახალი თაობა.

მე, როგორც დამწყები პედაგოგი, ყველაფერს გავაკეთებ, რათა მოსწავლეებს მთელი ენერგიითა და მონდომებით შევასწავლო ახალი საგანი—მანქანათმცოდნეობა, რომ ისინი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კარგად ერკვეოდნენ მანქანა-იარაღების მუშაობის პრინციპებში, შეეძლოთ მუშაობა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში.

მ. კვიწინაშვილი,
გამარჯვების საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

საგრაქჭორო ბრიგადა მზადაა საგაზაფხულო თესვისათვის

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში სიმინდის, როგორც ყველაზე საუკეთესო საფურაჟე და მარცვლეული კულტურის ნათესი ფართობების ზრდისა და მოსავლიანობის გადიდების გრანდიოზული ამოცანებია დასახული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სიმინდი ერთდროულად წყვეტს ორ ამოცანას—მარცვლეულის რესურსების შევსებასა და სიმინდის ღეროსაგან მაღალხარისხოვანი სილოსის მიღებას.

ჩვენი ბრიგადის მექანიზატორებმა აღფრთოვანებით განიხილეს რა პარტიის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ახალი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი აიღეს.

ჩვენს ვალდებულებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საგაზაფხულო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, ამ საქმეში მოწინავე გამოცდილებებისა და მეთოდების დანერგვას.

გასულ წელს სიმინდისა და მზესუმზირას კარგი მოსავალი მივიღეთ, მაგრამ ამ კულტურების ნათესის საერთო ფართობის მხოლოდ 30 პროცენტზე ჩავატარეთ კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. ამ პროგრესული წესით თესვამ საუკეთესო შედეგი მოგვცა. მაგალითად, კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 29,5 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ მაშინ, როცა მწკრივად ნათესიდან 26 ცენტნერი იქნა მიღებული.

ასევე განსხვავება [illegible] მზესუმზირამაც. [illegible] კვადრატულ-ბუდობრივ[illegible]სის თვითეულ ჰექტარ[illegible] ცენტნერი მოსავალი [illegible] მწკრივად ნათესმა კ[illegible] ტნერი.

წელს კარგად გვ[illegible] წინეთ კვადრატულ-ბ[illegible]ვი თესვის დიდი მნიშვ[illegible] და გადავწყვიტეთ, რომ [illegible] უმზირასა და სიმინდის [illegible]სი მთლიანი ფართობ[illegible] პროცენტზე თესვა კვადრ[illegible] ბუდობრივად ჩავატარო[illegible]

საამისოდ ვადაზე ად[illegible] ვარემონტეთ ტრაქტორებ[illegible] მისაბმელი მანქანა-იარ[illegible] გავმართეთ სათესები, [illegible] კულად გავეცანით [illegible] ტულ-ბუდობრივი სათესებ[illegible] ყობასა და სწორად დაყ[illegible] შევისწავლეთ აგრეთვე [illegible] გის მომზადებისა და დ[illegible] მვის წესები.

საგაზაფხულო თესვისა[illegible] მზად გვაქვს ორი კვადრატ[illegible] ბუდობრივი სათესი, [illegible] მანქანები დაკომპლექტებ[illegible] საუკეთესო მთესავებით.

ჩვენი ბრიგადის მექანიზატ[illegible]რები ყველაფერს გაკეთებ[illegible] იმისათვის, რომ ვალდებ[illegible] ბანი საქმედ აქციონ, [illegible] ტექნიკური წესების დაც[illegible] ჩაატარონ კვადრატულ-ბ[illegible] ბრივი თესვა, რათა შესაძ[illegible] ბელი გახდეს ნათესებში [illegible] მხრივი კულტივაციის ჩატ[illegible] ბა და სიმინდისა და მზესუ[illegible] ზირას უხვი მოსავლის მიღ[illegible]

ა. ბრელაშვილი,
გამარჯვების მტს-ის №7 ბაგრატორო ბრიგადის ბრიგადირი.

შეხვედრა პარტიის XX ყრილობის დელეგატთან

ჯაფარიძის საკოლმეურნეო კულტურის სახლის უზარმაზარი დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. იარუსები სავსეა კოლმეურნე ახალგაზრდებით, წითელყელსახვევიანი პიონერებით... ისინი აქ მოვიდნენ იმისათვის, რომ განიხილონ პარტიის XX ყრილობის შედეგები, მოუსმინონ ყრილობის დელეგატს, თავიანთი კოლმეურნეობის თავმჯომარეს ამხ. ნ. ყოჩიაშვილს, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა მოსკოვიდან.

კრებას ხსნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ი. თეთვაძე. იგი სიტყვას აძლევს პარტიის XX ყრილობის დელეგატს ნ. ყოჩიაშვილს.

—ძვირფასო ამხანაგებო! მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობაში. იმ ისტორიულ გადაწყვეტილებებში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მიიღო, დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოცემულია პარტიის ლენინური ზრუნვა ხალხისათვის, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის. ახლა მთელს ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი დიდი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც კეთილი ნების ადამიანები სიხარულით ეცნობიან ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელიც ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკას.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებმა ჩვენი ადამიანების წინაშე დააყენა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ახალი ამოცანები. სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად კიდევ უფრო კულტურული, შეძლებული გახდება ჩვენი კოლმეურნეობა, გაუმჯობესდება კოლმეურნეთა შრომისა და ცხოვრების პირობები.

—ყრილობის მუშაობის დღეებში,—ამბობს მომხსენებელი,—მე სისტემატურად ვეცნობოდი მშობლიური კოლმეურნეობის, მისი მამაცი ადამიანების შრომითს წარმატებებს. ისინი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებული შრომით პასუხობდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ყრილობის მუშაობას.

იმისათვის, რომ ღირსეულად განვახორციელოთ პარტიის XX ყრილობის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები, საჭიროა ყველა ჩვენთაგანმა გულმოდგინედ იმუშაოს იმ პოსტზე, რომელიც მას აქვს მინდობილი. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის რომ მომავალ წელს ერთნახევარჯერ გავადიდოთ მარცვლეული კულტურების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა, მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დღევანდელ დონეს.

ახალ სამეურნეო წელს, რომელიც უკვე დაიწყო და მაღალი შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს, ჩვენი კოლმეურნე გლეხობა მტკიცე საფუძველს ჩაუყრის ახალ ამოცანას —1957 სამეურნეო წლისათვის შეასრულონ მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებული სამუშაოები, ორ წელიწადში მიაღწიონ მოსავლიანობის ზრდას იმ ოდენობით, რაც 1960 წლისათვის გვაქვს გათვალისწინებული, ხოლო ზოგიერთ სახეში გეგმა 1956 წელში შესრულდება.

ასეთია ჯაფარიძელ კოლმეურნეთა პირობა.

ამხ. ნ. ყოჩიაშვილის სიტყვის დამთავრების შემდეგ ტრიბუნაზე არიან მოწინავე კოლმეურნეები,

—ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში,—ამბობს მეძროხეობის ფერმის გამგე ბიჭიკო ბენაშვილი,—უდიდესი მოვლენა იყო პარტიის XX ყრილობა, სადაც მთელი ძალით გამომჟღავნდა ის უდიდესი წარმატებანი, რომელიც მოპოვებული იქნა მეხუთე ხუთწლედში. ბ. ბენაშვილმა ილაპარაკა მეცხოველეობის ფერმის მუშაობის საკითხებზე და აღნიშნა, რომ ჯაფარიძელი მეცხოველეები კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ იმისათვის, რომ მათზე მიცემული გეგმა, რომელიც მეექვსე ხუთწლედშია გათვალისწინებული, 1957 წლისათვის გაანაღდონ.

ტრიბუნაზეა კოლმეურნე [illegible] ტოკლიკიშვილი.

—მე უაღრესად აღფრთოვ[illegible]ნებული ვარ იმ გადაწყვეტ[illegible]ლებებით, რომელიც პარტ[illegible] XX ყრილობამ დაგვესახ[illegible] —ამბობს ის,—მომავალში წარ[illegible] მატებით ვიბრძოლებ, რათა ჩ[illegible] მი წვლილი შევიტანო საბჭ[illegible] თა ქვეყანაში 11 მილიარ[illegible] ფუთი პურის წარმოების საკ[illegible] მეში. ყველა ღონეს ვიხმა[illegible] რომ უახლოეს წლებში თვით[illegible] ული ჰექტარი ნათესი ფართ[illegible] ბიდან 26 ცენტნერი ხორბალ[illegible] მივიღოთ. წელს ჩვენი კოლმ[illegible] ურნეობა 300 ჰექტარზე დათ[illegible] სავს სიმინდის კულტურას, [illegible] იდანაც აღებული ვალდებულ[illegible] ბის მიხედვით ჰექტარზე საშ[illegible] ალო მოსავლიანობა აყვანილ[illegible] უნდა იქნას 35 ცენტნერამდ[illegible]

კრებაზე სიტყვებით გამ[illegible] ვიდნენ აგრეთვე მემინდვრ[illegible] ბის № 1 ბრიგადის ბრიგად[illegible] რი მირონ ლეკაშვილი, კოლმ[illegible] ურნეობის პარტიული ორ[illegible] ნიზაციის მდივანი ზოტაბ[illegible] კოსი გ. დალაქიშვილი და სხვ[illegible] ბი, რომლებმაც ერთსულოვ[illegible] მოიწონეს სკკპ XX ყრილობ[illegible] გადაწყვეტილებანი.

Московская область. В январе нынешнего года в совхозе „Люберецкие поля орошения“ сдан в эксплуатацию специальный доильный зал, оборудованный двенадцатью доильными станками с молокосборниками и молокопроводом.

Оборудование зала разработано лабораторией эксплуатации молочных машин Всесоюзного научно-исследовательского института механизации сельского хозяйства и изготовлено на заводе „Львовсельмаш“.

В процессе дойки молоко поступает в стеклянный молокосборник с мерной линейкой, которая позволяет точно учитывать количество надоенного молока и обходиться без ручного контрольного поддаивания. Из сборника молоко через стеклянный молокопровод поступает в изолированную от доильного помещения молочную, где оно сразу же процеживается и охлаждается. Такое молоко сохраняет в течении 2—3-х суток ценнейшие питательные и вкусовые качества, присущие парному молоку. В обычных же условиях они сохраняются только два-три часа.

При доении коров в специально оборудованных доильных станках резко повышается производительность труда доярок. Одна доярка может выдоить за два—два с четвертью часа до 100 коров.

В доильном зале фермы совхоза 3 старших доярки обслуживают 300 коров.

Средний надой молока от коровы на ферме составляет 4600 килограммов. В нынешнем году коллектив фермы обязался надоить от каждой фуражной коровы в среднем по 5000 килограммов молока.

На снимке: общий вид доильного зала в совхозе „Люберецкие поля орошения“.

Фото О. Кузьмина. Фотохроника ТАСС

★ ★

ჩვენი სიგნალის შემდეგ

„წარმოება-დაწესებულებებში სამუშაო დღის რეჟიმი ირღვევა“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 2 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში გაკრიტიკებულნი იყვნენ რაი-სოცუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების გამო.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა რაი-სოცუზრუნველყოფის განყოფილებას. როგორც განყოფილების გამგე ი. ჯავახიშვილი გვატყობინებს, თანამშრომლებს თ. ფავლენიშვილსა და თ. ყოჩიაშვილს 29 თებერვალს სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისათვის დაედოთ ადმინისტრაციული სასჯელი.

ბიჭვინთელ მეცხოველეთა გამოცდილებიდან

სტუმრად ბიჭვინთელ მეცხოველეებთან*)

ბიჭვინთა. მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარეებით შემოსილი ლამაზი სოფელი. ჩრდილოეთით კავკასიონის დათოვლილი მთები... ცოტა მოშორებით კი ზღვისპირი. ქათქათა თოლიები კამარას შეკრავენ და კვლავ ზღვის ლურჯ ტალღებში გაეხვევიან.

მგზავრის ყურადღებას მიიპყრობს ტყისპირას, ვრცელ ტაფობზე აგებული უზარმაზარი შენობები. ერთი შეხედვით იფიქრებთ, რომ აქ უსათოოდ ქალაქი უნდა იყოს. დიახ, აქ ბიჭვინთელ მეცხოველეთა ლამაზი დაბაა. მიდიხართ მოასფალტებული ფართო ქუჩით და არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიქციოს 20-30 მეტრის სიმაღლის სასილოსე კოშკებმა.

— თვითეული მათგანი ასობით ტონა სილოსს იტევს— გვითხრა მეგზურმა.

ხელმარჯვნივ ფართო ფანჯრებიანი ლამაზი შენობაა. ეს თურმე ადგილობრივი მნიშვნელობის რძის გადამამუშავებელი ქარხანაა, სადაც ფუსფუსებენ თეთრხალათიანი გოგონები. ზოგი მათგანი რძის ხარისხს სინჯავს, ზოგიც უზარმაზარ ჩანებს მისჩერებია და დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს რძის გადამუშავების პროცესს. რა არაჩვეულებრივი სისუფთავეა ირგვლივ—ყველაფერი თეთრი ქათქათა მარლებითაა შემოსილი.

ჩვენ ცოტა მოშორებით აგებული გრძელი ერთსართულიანი შენობისაკენ წავედით. ის მესაქონლეობის ფერმის მთავარი კორპუსის გვერდითაა მოთავსებული. კარებს მივუახლოვდით თუ არა, ის იყო შიგ უნდა შევსულიყავით, რომ იქვე ფეხის გასაწმენდ ჯაგრისს მოვკარით თვალი, შესასვლელში სადეზინფექციო ფხვნილია მოყრილი. ფეხსაცმელები დავიწმინდეთ და კარები შევაღეთ თუ არა, წინ შუახნის დედაკაცი შეგვეგება. მეგზურმა გაგვაცნო, რომ იგი მოწინავე მეხბორე ანა ტერემიაზევაა, რომელიც სანიმუშოდ უვლის ნამატს. ანამ მოსაცდელში შეგვაჩერა და სათითაოდ თეთრი ხალათები დაგვირიგა.

— ჩაიცვით! — ოდნავი ბრძანების კილოთი მოგვმართა მან.

თეთრ ხალათებში გამოვეწყვეთ. კარებზე ჩამოფარებული ფარდა გავხსენით და ფართო დარბაზში შევედით. ირგვლივ ორ-ორი კვადრატული მეტრის მოცულობის ტიხრები იყო გაკეთებული, რომელთაც ცალ-ცალკე შესასვლელები ჰქონდათ ამოჭრილი. კუპეებში მოთავსებული ხბორები შესანიშნავად იყვნენ მოვლილნი, ჩვენს დანახვაზე აკუნტრუშდნენ, თითქოს მათაც გაეხარდათ ჩვენი სტუმრობა.

მომვლელმა ქალმა კედელზე მიმაგრებულ თერმომეტრს შეხედა. წითელი სითხე 25 გრადუსზე იყო ასული. იგი სწრაფად შემობრუნდა და ხელი ელექტროჩამრთველისაკენ წაიღო— ვენტილატორი ამუშავდა.

ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით თვითეულ წვრილმანს. ანამ ერთ ხბოსთან შეგვაჩერა. შესასვლელთან მიკრული ფანერის ნაჭერი მოხსნა და მოგვაწოდა. ფანერზე ხბოს სახელი ეწერა, აქვე იყო მისი პირადი ნომერი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი, წონა დაბადების დროს და შემდეგ საშუალო სადღეღამისო მატება. მეორე მხარეზე ჩამოწერილია კვების ნორმები...

— დაბადებისას ეს ხბო 50 კილოგრამს იწონიდა, ახლა კი 2 თვისაც არაა და 70 კილოგრამს აღემატება ეს სიტყვები ანამ ისე აუღელვებლად წარმოთქვა, თითქოს აქ ჩვეულებრივი მოვლენა იყოს ასეთი მატება.

* * *

მეძროხეობის ფერმის მთავარი კორპუსი ელექტრონითაა გაჩირაღდნებული. შენობა ცარიელია, ფანჯრები ღია. შენობის ცენტრში მაგიდაზე სხვადასხვა მედიკამენტებია თავმოყრილი, აქვეა წიგნები, საათი, რადიო, გვერდით სამედიცინო სასწორი. სამმეტრნახევარს აღემატება კედლების სიმაღლე. მეორე სართულზე უხეში საკვების საწყობია, საიდანაც ავტომატური წესით ბაგაში იმდენი საკვები ჩამოდის, რამდენიც საჭიროა პირუტყვისათვის. ძროხების საბმელებზე ლითონის ჯამებია მიმაგრებული. ჯამი ცარიელია, მაგრამ საკმარისია შეეხო ფირფიტას, იგი წყლით აივსება. ყველა ამ ხერხს პირუტყვი ისეა „დაუფლებული“, რომ ორმოში ან მდინარეზე იგი წყალს აღარც კი მიირთმევს. საზამთრო ბინას შუაზე რკინიგზის ლიანდაგი ჩაუდის, რომელზედაც განუწყვეტლივ მოძრაობენ პატარა ზომის რონოდები. ამ გზით ხდება მრავალი შრომატევადი სამუშაოს შესრულება—გააქვთ ნაკელი, შემოაქვთ საკვები.

ეზოში გავედით თუ არა, ხშირი ტყით დაფარულ გორაკზე, რომელიც ფერმიდან 60-70 მეტრი მანძილითაა დაშორებული, გრძელი სახურავი გამოჩნდა. მეძროხეობის ფერმის ბრიგადირმა მიხეილ ჯალაღანიამ ხუმრობით გვითხრა, რომ იქ პირუტყვის „კურორტია“.

ეს ბინაც, თავისი მექანიზებული მოწყობილობით ისეთივეა, როგორიც საზამთრო ბინა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შენობას არ აქვს კედლები და საკვების მიტანა წრისებური რკინიგზის ხაზით სწარმოებს. რონოდები გარს უვლიან პირუტყვის ბინას.

ფერმაში ასამდე სული ძროხაა. ისინი დაჩვეული როდი არიან სიბინძურეს. საკმარისია მომვლელმა ოდნავ ჭუჭყი შენიშნოს ძროხას, რომ დაუყოვნებლივ ახდენს მის გაბანვას. აქ მტკიცედ დამკვიდრდა ძროხების ბაგური კვება. ისინი საძოვარზე საერთოდ არ გაჰყავთ, მხოლოდ შუადღისას ეწყობა მოკლე მარშრუტიანი „სეირნობა“. ყველა მწველავს თეთრი ხალათები აცვიათ, ისინი ძალზე გვანან ერთმანეთს, მაგრამ მიუხედავად იმისა, ძროხები უმალ გამოიცნობენ ხოლმე თავიანთ მომვლელებს.

ბრიგადირმა განსაკუთრებულ ადგილზე დაბმულ ძროხასთან მიგვიყვანა. მას თავი თივის სასთუმალზე დაედო და ტკბილად ეძინა.

— „ლენტა“—ხმამაღლა დაუძახა მიხეილმა. ძროხა ზეზე წამოდგა.

— „ლენტა“ აქ ყველაზე უფროსია, როგორც ასაკით, ასევე წონით. უკვე მეცხრე თაობა მისცა ფერმას. მისგან მიღებული ნამატი პროდუქტიულობაში არ ჩამოუვარდება თავის მშობელს, მაგრამ „ლენტა“ წველადობაში კვლავ პირველობას ინარჩუნებს და მეოთხედ დაამყარა აფხაზეთში რეკორდი. საინტერესოა ისიც, რომ იგი განსაკუთრებული „ავტორიტეტით“ სარგებლობს სხვა ძროხებში, სეირნობის დროს არცერთი პირუტყვი მას წინ არ გაუსწრებს. „ლენტამ“ გასულ წელს ტყუპი ხბო მოიგო. მშობიარობის წინ

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

*) სტატია ბიჭვინთელ მეცხოველეთა გამოცდილების შესახებ დაწერილია „ახალი შირაქის“ რედაქციის შეკვეთით.

წველადობის მიმდინარეობა 1956 წლის 1 მარტისათვის თვითეულ საფერაქე ძროხაზე (ლიტრებში)

კოლმეურნეობათა დასახელება	მოწველილია 1 საფერაქე ძროხაზე 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წ. 1 მარტამდე	მოწველილია იანვრის თვეში	მოწველილია თებერვლის თვეში	წველადობის მატება	წველადობის დაკლება
1. ჯაფარიძის	560,7	107,7	83,7	—	24
2. დაბა ორჯონიკიძის	421,8	99,4	94,2	—	5,2
3. წითელწყაროს მოლოტოვის	253,9	62,6	79,4	16,8	—
4. „ ლენინის	342,6	95,1	100,9	5,8	—
სულ წითლის მტს-ში	413,6	92,2	87,6	—	4,6
5. გამარჯვების ჟდანოვის	351,8	74,5	92,2	17,7	—
6. ოზაანის მალენკოვის	350,2	79,5	85,4	5,9	—
7. მირზაანის მე-18 პარტყრილობის	415,6	91,8	108,3	16,5	—
8. არბოშიკის კალინინის	331,2	67,3	77,6	10	—
სულ გამარჯვების მტს-ში	351,4	74,5	86,7	12,2	—
9. ზემო მაჩხაანის სტალინის სახ.	520,0	104,6	93,5	—	11,1
10. ქედის სტალინის სახ.	256.4	57,5	70,8	13,3	—
სულ შირაქის მტს-ში	395,0	82,2	83,1	0,9	—
11. არხილოს კიროვის	401,6	91,4	87,8	—	3,6
12. ქვემო ქედის	332,8	72,7	93.4	20,7	—
13. საბათლოს მიქოიანის სახ.	177,2	33,2	42,2	9	—
სულ ქედის მტს-ში	322,6	70,5	81,2	10,7	—
სულ რაიონში	376,7	81,1	84,8	3,7	—